საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
თბილისის სარეგისტრაციო სამსახური

გადაწყვეტილება N 882016101771-03 (26.02.2016)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა განცხადება (No.882016101771; 23 თებ 2016; განმცხადებელი: შპს 'ემჯიაი', მისამართი:). განცხადებით მოთხოვნილია უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია , მდებარე ქალაქი თბილისი , ივანე თარხნიშვილის ქუჩა N2 [ზონა:თბილისი, სექტორი:მთაწმინდა]

განცხადებაზე თანდართულია:

1. წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
2. აზომვითი ნახაზი და ელ ვერსია;
3. ახსნა-განმარტება;

1. აღწერილობითი ნაწილი:
სსიპ,,საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს" წარედგინა განცხადება (No 882016101771; 23 თებერვალი 2016; განმცხადებელი: მზია ბერიაშვილი /35001006182/ განცხადებით მოთხოვნილია რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე მდებარე ქალაქი თბილისი , ივანე თარხნიშვილის ქუჩა N2 . გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მისამართზე რეგისტრირებულია მშენებარე შენობა-ნაგებობა, ხოლო თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული თანხმობა წარმოდგენილი არ არის.

2. სამართლებრივი დასაბუთება:
,,საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ,,მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად“, ხოლო ამავე კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ: განცხადებას არ ერთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.

3. დასკვნა:
განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად დამატებით წარმოსადგენია ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული თანხმობა მოთხოვნილ ცვლილებასთან დაკავშირებით.

"საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 21–ე მუხლის შესაბამისად შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება და შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოსადგენად განისაზღვროს ვადა: 30 კალენდარული დღე. აღნიშნულ ვადაში დოკუმენტის ან

635x449

ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება და გადახდილი მომსახურების საფასური უკან დაბრუნებას არ დაექვემდებარება.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (მის.: ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ.#2) და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით.